ცნობის ფურცელი

№ 1854 სამშაბათი, 2 ივლისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1854

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ჯაჭის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ჩვენ პატივცემულ მყიდველთა საყურადღებოდ პატივი მაქვს გამოვაცხადო, რომ

გ. ი. პალლიზენის

ქაღალდის ქარხნების საქციონერო საზოგადოებასა, რჟევსკის ქაღალდის ქარხნების საქციონერო საზოგადოებასა და კოტელევსკის ქაღალდის საქციონერო საზოგადოებაში

მუშაობა არ შეჩერებულა,

მაშასადამე ამ საზოგადოებათა ამიერ-კავკასიის საწყობებში **განუწყვეტელი ვაჭრობაა.** მხოლოდ სახელმწიფო ბანკის სურვილით პალლიზენისა და რჟევსკის ქარხნებისათვის დანიშნულ იქმნა ადმინისტრაცია; კოტელევსკის ქარხნებთან კი ადმინისტრაციას საქმე არა აქვს. **არავითარი ლიკვიდაცია არ მოხდება.** პირიქით, გამგეობა, უერთდებ რა სახელმწიფო ბანკის გადაწყვეტილებას, დარწმუნებულია, რომ ეს გარემოება ხელს შეუწყობს ჩვენის ქარხნების საქმეთა აღდგენას, და ადმინისტრაცია ამ რიგად მხოლოდ დროებითი საშუალებაა.

(3—1) ამიერ-კავკასიის საწყობის გამგე **ი. გაიდამაკინი**

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ვ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ვ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავინსმგელისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდ-ე მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ბორჯომში
ექიმი ვ. ლამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^{1}/_{2}$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ექიმი

ც. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდის, საღამოთი 7—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ.)

საზღვარ-გარედ

ამერიკა, ყუბა და ფილიპის კუნძულები. ამერიკის შეერთებულ შტატების სენატი, რომელსაც ერთ დროს უდიდესი ზნეობრივი ავტორიტეტი ჰქონდა ქვეყნის თვალში და რომელზედაც დიდის ქებითა და პატივისცემით სწერდნენ ისეთი პირები, როგორც მილი და ტოკვილი იყვნენ, დღეს ამერიკის პლუტოკრატიის მფარველ ბურჯად გახდა; და ამერიკის უძლიერესი პარტია რესპუბლიკელებისა, რომელნიც 50—60 წლებში მონობას ებრძოდნენ და შავკანიანებისათვის სამოქალაქო და პოლიტიკურ თანასწორობას თხოულობდნენ, დღეს მსხვილ მრეწველობის ინტერესების დამცველია და მხარს აძლევს ტრესტებს, რომელთა საოცარი ზრდა და გავლენა ბევრ ხიფათს უმზადებს ამერიკის ეკონომიურ განვითარებას.

ამერიკის შეერთებულ შტატების ეხლანდელი პრეზიდენტი რუზველტი რესპუბლიკელების პარტიას ეკუთვნის, მაგრამ იგი მეტად დამოუკიდებელ ხასიათის კაცია და არ უნდა ბრმა იარაღი იყოს თავის პარტიის ხელში. ჯერ კიდევ პირველ თავის მოხსენებაში, რომელიც მან კონგრესს გაუგზავნა, რუზველტი თხოულობდა სასტიკ ზედამხედველობას ყოვლის შემძლე ტრესტების მოქმედებისას და ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში პრეზიდენტმა რამდენჯერმე გამოაცხადა, რომ აუცილებლად საჭიროა ეხლავე იქმნას ღონისძიება მიღებული ამ ზედამხედველობის დაუყოვნებლივ მოწყობისათვისო. პრეზიდენტის ამგვარი შეხედულება ტრესტებზე და ის გარემოება, რომ იგი თანამდებობაზე დანიშვნის დროს პარტიურ ინტერესებით არ ხელმძღვანელობდა, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და იწვევს რესპუბლიკელებ შორის და ამ ბოლოს დროს განხეთქილებაც ჩამოვარდა რუზველტსა და მათ შორის. განგეთქილების მიზეზი კუნძული ყუბა შეიქნა.

ამ კუნძულის უმთავრესი სიმდიდრე შაქარია. სანამ ყუბა ესპანიის სამფლობელო იყო, ყუბელების შაქარს ბაჟი არ ედო ესპანიაში; ეხლა კი, როცა ყუბა განთავისუფლდა, ესპანიის მთავრობამ, რასაკვირველია, დიდი ბაჟი შემოიღო ყუბის შაქარზე. ამიტომ არის, რომ ყუბელები თხოულობდნენ ამერიკის მთავრობისაგან თავიანთ შაქარზე ბაჟის პოსპობას ან შემცირებას, რათა ესპანიის ბაზრის დახურვის შემდეგ ამერიკაში გაევრცელებინათ თავიანთი ნაწარმოები. პრეზიდენტი რუზველტი შევიდა ყუბელების მდგომარეობაში, იგი ხედავდა მათს მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას და ამიტომ მან წინადადება მისცა კონგრესს შეემცირებინა ბაჟი ყუბიდან მოტანილ შაქარზე. მაგრამ პრეზიდენტის ამ წინადადებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია შაქრის პლანტატორებსა და შაქრის მრეწველთა შორის და იმდენი ეცადნენ, რომ კონგრესი დაიხურა

ფელეტონი

რკინის გზის მთავარ ლიანდაგის ქუთაისზე გაყვანის პროექტების გამო

უხუცესს ხმოსანს ქუთაისის ქალაქის საბჭოსას თ-დს პ. ა. თუმანიშვილს წინადადება შეუტანია საბჭოში, რომ ქალაქის თვითმმართველობამ ისარგებლოს აწინდელ მარჯვე შემთხვევით, როცა თვით რკინის გზის მთავარი სამმართველო ჰფიქრობს ხაშურიდან ბათუმამდე მეორე ლიანდაგის გაყვანას, და ითხოვოს როგორც და სადაც ჯერ-არს, რომ ეს მეორე ლიანდაგი მაინც ნუ ასცდება ყველაფრით დაქვეითებულს ქუთაისს.

ეს საქმე იმდენად დიდ-მნიშვნელოვანია და უაღრესი არა მარტო ქუთაისისათვის, არამედ მთელის დასავლეთის საქართველოსათვის ერთის მხრივ და მეორეს მხრით კი თვით ამიერ-კავკასიის რკინის გზის ეკონომიურ ინტერესებისათვის, რომ საკვირველია რატომ ამდენს ხანს არ იქმნა ეს საგანი აღძრული ქუთაისის საბჭოში?

უკვე ამ წლის თებერვლის დამდეგს სწერდნენ გაზეთებში, რომ გზათა სამმართველოს განზრახვა აქვს ხაშურსა და ბათუმს შუა რკინის გზის მეორე ლიანდაგი გაიყვანოს, რადგანაც უწინდელი გზა ველარ ჰყოფნის ცხოვრებისა და ვაჭრობა-მრეწველობის მოთხოვნილებასო. ამასთანავე დასძენდნენ, რომ ახალ ლიანდაგისათვის მიმართულების გამოკვლევა ამ ზაფხულსვე უნდა დასრულდეს, რომ მომავალ, 1903 წლის ზაფხულს თვით ლიანდაგის გაყვანას შეუდგნენო.

ვაი თუ დღევანდელი აღძვრა ამ საგნისა ცოტათი ნაგვიანევი იყოს? მაგრამ ჩვენს იქვს ფრთას აჭრის ის გარემოება, რომ ინიციატორი საგნის აღძვრისა—თ-დი პ. ა. თუმანიშვილია, ქალაქის საქმეებში ალღოს აღების უნარი რომლისაც იმდენად ცნობილი არის, რომ უნდა ვიფიქროთ იგი არც თავად დაშვრებოდა ამაოდ და არც საბჭოს გარჯიდა, თუ კი რომ საქმისათვის ზრუნვა სრულებით დაგვიანებული იყოს...

მაშ ვიქონიოთ იმედი, რომ ჯერ კიდევ შემოევლება ამ დიდის უაღრესობის საქმეს, და მკითხველს საზოგადოებას მოკლედ გავაცნოთ ქუთაისზე რკინის გზის მთავარ ლიანდაგის გაყვანის „ავან-ჩავანი“.

ფოთი-ტფილისის რკინის გზა, თავდაპირველად დამტკიცებულის პროექტისამებრ, უნდა გაეყვანათ ფოთიდან სენაკზე, ხონზე, ქუთაისზე და შემდეგ ს. სიმონეთიდან მიეყვანათ ზესტაფონში, საიდანაც გზას უნდა მიეღო ახლანდელი მიმართულება. განზრახული იყო ქუთაისში აეშენებინათ დეპოები და უმთავრესი სახელოსნოებიც. ეს პროექტი იმპერატორის ალექსანდრე მე-II-საგან უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა, რაიცა გახარებულ ქუთათურებს პირადად გამოუცხადა კავკასიის მაშინდელმა ნამესტნიკმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ქუთაისში ყოფნის დროს*).

მაგრამ ქუთათურების და საზოგადოდ იმერეთის დიდი ნაწილის სიხარულს მალე მოუღო ბოლო მოულოდნელმა და წარმოუდგენელმა გარემოებამ... ქუთაისის ბედი შეშურდათ აჯამეთის ტყის (ქუთაისიდან სამხრეთით 8 ვერსტზე მდებარის) მაშინდელ პატრონებს თავადს მ—ს და ანანოვებს, რომელნიც ეზრახნენ გრაფს ლევაშოვს, ქუთაისის იმ დროინდელ ყოვლად შემძლე გუბერნატორს და... უმაღლესად დამტკიცებული პროექტი ინჟენერებმა, ვითომც და ხაზინის სარგებლობისათვით შესცვალეს ისე, რომ ქუთაისს 7 ვერსტით გააცილეს რკინის გზა და მითი არსებითი ინტერესები როგორც ქუთაისისა, ისე მთელის მჭიდროდ დასახლებულის გუბერნიისა, მსხვერპლად შესწირეს კერძო მემამულეთა სარგებლობას...

პირვანდელი პროექტით სენაკიდან ზესტაფონამდის რკინის გზას ჰქონდა სამოცდა თექვსმეტი (76) ვერსტი, ხოლო შეცვლილი პროექტით კი გზის ახლანდელ მიმართულებას აქვს—ოთხმოცდა სამი (83) ვერსტი, ე. ი. **შვიდი ვერსტით** მეტი. თვით ქუთაისისა და მისს დასამხარ რაჭა-ლეჩხუმისა, ოკრიბის $^{2}/_{3}$ ნაწილისა და ტყვიბულის ქვა-ნახშირის მდიდარ მადნებისათვის კი ამ ერთად-ერთს რკინის გზას შავის ზღვის ნავთსადგურამდის მოემატა 14 (თოთხმეტი) ვერსტი, რადგანაც ზემოდ მოხსენებულ 7 ვერსტს უნდა მიუმატოთ ქუთაისისავე რკინის გზის შტოის—7 ვერსტის სიგრძე.

ქუთაისს იმ დროს თვით-მმართველობა არ ჰქონდა მინიჭებული, ხოლო პოლიციასთან ერთად ქალაქის სვე-ბედის გამგე დეპუტატებმა ვერ გამოიჩინეს ქუთაისის ინტერესების დასაცველად გარემოების შესაფერი ფხა და ქუთაისი ემსხვერპლა აჯამეთის უღრანს ტყეს...

იმ დღიდან აქამომდე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებში არ შეწყვეტილა მდურვა და ჩივილი ინჟენერების ასეთს უდიერობაზე... ხან-და-ხან ბუნებაც თავისი სტიქიონური ძალებით თითქო ბანს აძლევდა იმერთა უკმაყოფილებას: 1869 წელს, მაგალითად, ადიდებულმა რიონმა წაიღო „რიონის“ სადგურთან ამ მდინარეზე ახლად აგებული ხიდი, უდიდესი მთელს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე. ინჟენერებმა მხოლოდ მაშინ გაიგეს, რომ ქუთაისს დაბლა მდინარე რიონი ბევრგან იცვლიდა კალაპოტს და ერთი ამ ადგილთაგანი იყო წინაველის ვაკე, სადაც ააგეს სად. რიონი (მაშინ კი „ქუთაისად“ მონათლული). აღმოჩნდა, რომ იმ ადგილას ხიდის დასაცველად კვლავ წალეკისაგან საჭირო იყო რამდენიმე დამბების გაკეთება, რასაც ერთხანად დიდ-ძალი ფული უნდებოდა, და, გარდა ამისა, საჭირო იყო ყოველწლიური მუდმივი არა მცირედი ხარჯი...

მაშინაც აღიძრა ლაპარაკი გზის ქუთაისისკენ წამოწევისა, მაგრამ ისევ წინანდელ მი-

---

*) ვოკზალი უნდა ყოფილიყო რიონის მარჯვენა მხარეს, ჯარის ახლანდელ ყაზარმებს ქვემოდ.

და ყუბელების გაჭირვებული მდგომარეობა არაფრით შეუმსუბუქებია.

პრეზიდენტი რუზველტი მაინც თავის აზრის გაყვანას სცდილობს: მას განზრახვა აქვს კონგრესის ვაკაციების დროს სავაჭრო ტრაქტატით შეეკრას ყუბის ახალ რესპუბლიკის მთავრობას და ეს ტრაქტატი წარუდგინოს დასამტკიცებლად სენატს მომავალ სესიის დროს. თუ რესპუბლიკელთა პარტიის უმრავლესობა წინააღმდეგია რუზველტის ასეთ სამართლიან პოლიტიკისა, საზოგადოებრივი აზრი მის მხარეს არის და, იმედია, მიაღწევს კიდეც თავის ჰუმანურ მიზანს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყუბის პოლიტიკურად განთავისუფლება დიდს ვერას მოუტანს მრავალ-ტანჯულ ხალხს, რომელიც ეხლა ასე გაჭირვებულია ეკონომიურად შაქრის ბაზრის დახურვის გამო.

ამერიკის კონგრესის უკანასკნელი საქმე ფილიპეს კუნძულებზე სამოქალაქო მართველობის შემოღება იყო. ბურების ბრძოლისა არ იყოს, სრული სამი წელიწადია ომობენ ფილიპელები სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. ამ ბოლოს დროს ბრძოლა ფილიპელების მხრივ ცოტათი შესუსტდა, მაგრამ ხალხი მაინც ძველებურად არის მოწადინებული დამოუკიდებლობას. ამერიკის სამხედრო მთავრობისა და ჯარების მხეცურმა მოქმედებამ კიდევ უფრო გააძლიერა ხალხში ეს სურვილი. სამხედრო მთავრობის ასეთი მოქმედება, რასაკვირველია, დაფარული ვერ დარჩებოდა თავისუფალ ამერიკაში და რაკი გამომჟღავნდა, ძლიერი მოძრაობა ასტყდა ამერიკაში ამ მთავრობის წინააღმდეგ. ამ მოძრაობის შედეგი იყო კონგრესის დადგენილებაც სამხედრო მთავრობის მაგიერ სამოქალაქო წესების შემოღების შესახებ.

ახალ კანონის ძალით, ფილიპეს კუნძულების მართველობის სათავეში სდგას სამოქალაქო გუბერნატორი, ხალხს კი ეძლევა თვითმართველობის უფლება. ამასთანავე სრული ამნისტია მიენიჭა ყველა მებრძოლ ფილიპელებს. ფილიპელების ბედის საბოლოო გადაწყვეტა შემდეგისათვის გადაიდო. მაგრამ ილსანიშნავია ის გარემოება, რომ ამერიკელებ შორის თან-და-თან მეტ მომხრეებს იძენს აზრი ფილიპეს კუნძულების სრულ თავისუფლებისა—ამერიკას მარტო კუნძულების გარეშე პოლიტიკის კანტროლის უფლება უნდა ჰქონდესო, პრეზიდენტიც ამავე აზრისა არის.

ჩეხია. ჩეხებმა ამ ბოლო დროს დიდი მხნეობა და მეცადინეობა გამოიჩინეს. თვით მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ განვლილ სესსიაში ჩეხთა კლუბმა გაიმარჯვა, რადგანაც ყველა ის, რაც კი კლუბმა მოითხოვა, განხორციელებულ იქმნა. ვინც კი თვალყურს ადევნებს საპარლამენტო ცხოვრებას, აშკარადა ჰხედავს, რომ ჩეხთა მეთაურნი დიდ საპოლიტიკო უნარს და ტაქტიკას იჩენენ. იმათის წყალობით, ჩეხებმა მეტი გავლენა და სახელი მოიპოვეს პარლამენტში. აი რა უთქვამს ჩეხთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტს ბეორადს ერთის გაზეთის კორესპონდენტისათვის: „ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ გაერთიანებულნი ვმოქმედებდით და არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით არც გერმანელთა დასებს და არც მთავრობას, რომელიც ამ დასების სურვილისა და გულის-ნადების გამომხატველია. ამ გარემოებამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ვენის პარლამენტი უძლურია ჩვენის ოპოზიციის წინააღმდეგ. ჩვენმა ძლევა-მოსილებამ ერთხელ კიდევ დაანახვა ყველას, რომ ავსტრიის საქმეთა მართვა-გამგეობისათვის ჩვენ, ჩეხები, ისევე საჭირონი ვართ, როგორც გერმანელნი, და თუ გერმანელთა ნება-დაურთველად ავსტრიაში საქმის გაკეთება არ შეიძლება, უჩეხოთაც იგი ვერც ერთ ნაბიჯს ვერ გადასდგამს წინ. განვლილ ბრძოლაში მოწინააღმდეგეთ თავიანთი ძალ-ღონე გამოსცადეს: ვაგრძნობინეთ მტერს, რომ გულ-კეთილ ჩეხს მაგარი მხარ-ბეჭი აქვს, რომ იგი უძლეველი და დაუმარცხებელია იქ, სადაც საქმე საერო უფლებებს შეეხება. ჩვენი ოპოზიცია შედეგია მთავრობის ყოფა-ქცევისა, იმ მთავრობისა, რომელიც გერმანელ დასთა ყმად და მონად გადაიქცა. ჩვენ უნდა დაგვემტკიცებინა, რომ მთავრობა შემცდარ გზას დაადგა. საოპოზიციო საქმეს მხნედ შევუდექით, გადავწყვიტეთ—არაფერი დაგვეთმო. როდესაც კერბერმა მოისურვა ჩვენი დაშოშმინება ჩეხიისათვის განწესებულ მინისტრის რეზეკის საშუალებით, ჩვენ დაუყოვნებლივ მოვსპეთ დამოკიდებულება ამ მინისტრთან. ეს იყო მიზეზი, რომ რეზეკმა სამსახურიდან გადადგომის თხოვნა შეიტანა. ასეთ შემთხვევებში ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ თანამემამულე მინისტრის სურვილ-მდგომარეობას. მართალია, მინისტრს—მორლებას ბევრი არაფერი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ დიდი გავლენა და მნიშვნელობაც რომ ჰქონდეს, უკან არ დავიხევდით და კავშირს შევწყვეტთ ასეთ მინისტრთან, თუ კი იგი საერო პოლიტიკის წინააღმდეგ მომქმედებს. ამ ტაქტიკის წყალობით ჩვენი სახელი და გავლენა გაორკეცდა, —აი სწორედ ეს არის ნაყოფიერი შედეგი ჩვენის მოქმედებისა განვლილ სესსიაში.“

მომავალში უმთავრეს საქმედ, რომელიც ჩეხთა მთელ ყურადღებას მიიქცევს, ბეორადს ენათა საქმე მიაჩნია. ჩეხთა ენის უფლების აღუდგენლად შეუძლებელია, ბეორადის აზრით, როგორც უნგრეთთან შეთანხმება, ისე პარლამენტის მოქმედება.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 1 ივლისს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი განსვენებულ გენერალ-მაიორის **თავ. არჩილ გულბაათის ძის ჭავჭავაძის** სულის მოსახსენებლად. ქვაშვეთის ეკლესიიდან გვამი კახეთს წაასვენეს. კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა. დაესწრნენ გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე, განსვენებულის ძმა გენ.-ად. ჭავჭავაძე და სხვანი. გვამს დაასაფლავებენ სოფ. იყალთოს, საგვარეულო აკლდამაში.

✦ გუშინ, 1 ივლისს, გუმბრში წავიდა მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი **ა. ა. ფრეზე.**

✦ რადგანაც **სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ორის თვით სოჭაში წავიდა, იმის თანამდებობის ასრულებას შეუდგა საოლქო ინსპექტორი ბ-ნი ლოპატინსკი.

✦ საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს **სოჭაში დააარსოს ვაჟთა პროგიმნაზია.**

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში 28 ივნისს მომხდარ საჯარო **ვაჭრობის** დროს გაიყიდა სულ 42 მამული ქალაქისა და სოფლისა. ტფილისის მცხოვრებს გაეყიდა: 4 ქართველს, 5 სომეხს და 4 რუსს. სხვა ქალაქების მცხოვრებთ: 7 ქართველს, 5 სომეხს, 2 რუსს და 1 სპარსელს. სოფლელთაგან 14 ქართველს გაეყიდა მამული, აქედან ოთხი თუ ხუთი აზნაურია, დანარჩენნი თავადები არიან.

✦ 28 ივნისს ტფილისის ქალაქის საკრედიტო ბანკში მოხდა **საჯარო ვაჭრობა** 22 და 24 ივნისის ვაჭრობაზე გაუყიდველ ორ მამული გასასყიდად. გაიყიდა ორივე მამული 7,370 მანეთად. ამ ბანკში წელს გაიყიდა სულ 22 მამული სომხისა, 9 რუსისა და 5 ქართველისა. ვაჭრობის დროს მამულები შეიძინეს: 26 სომეხმა, 5 ქართველმა და 5 რუსმა.

✦ ამ რამდენისამე ხნის წინად გორის მაზრის მემამულემ კონსტანტინე ვასილის ძე კალატოზიშვილმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ნება მიეცეს გამოიწეროს საზღვარგარეთიდან **ავტომობილები** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურსა და ქალაქის სხვა და-სხვა ნაწილს შორის საქონლის გადასაზიდ გადმოსაზიდად.

გუბერნატორმა გუშინ, 1 ივლისს, ეს თხოვნა გადასცა განსახილველად ტფილისის ქალაქის გამგეობას.

✦ 27-ს ივნისს ახლად დაარსებულ „**მცხეთა ტფილისის**“ ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება მოხდა. ამხანაგობას, როგორც წინადაც ვაცნობეთ მკითხველებს, აზრადა აქვს შეიძინოს წევრთათვის საგარაკო და სამოსახლო ადგილები და შენობები. კრებას გამგეობის წევრნი უნდა აერჩია. ამოარჩიეს ექვსი კაცი: ივანე როსტომაშვილი, ალექსი დავითიშვილი, ივანე ბალუაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, კონსტანტინე მაღალაშვილი და ილია ალხაზიშვილი. გამგეობამ იქვე გაანაწილა შრომა და თანამდებობანი ამ გვარად: თავმჯდომარედ გამგეობისა ამოარჩიეს ი. როსტომაშვილი, ხაზინადრად—ა. დავითიშვილი და მდივნად დ. ტატიშვილი. ვისაც ჰსურს ჩაეწეროს ამხანაგობის წევრად, ანუ შეიტყოს დაწვრილებით პირობები, უნდა მიჰმართოს გამგეობის წევრებს პირადად ანუ წერილობით.

✦ დღეს, 2 ივლისს, საღამოს 8 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების **კრება,** რომელმაც 18 საქმემდე უნდა განიხილოს. სხვათა შორის კრება განიხილავს: მოხსენებას მოქალაქეთა მოურავის ბულდანოვისათვის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ და განსაკუთრებულ კომისიის მოხსენებას მოქალაქეებზედ საზოგადო საქმეებისათვის 35,000 მან. გაწერის შესახებ და სხვას.

✦ ტფილისის ხელოსანთა მოურავად არჩეული მ. მ. რაფაელოვი ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ამ თანამდებობაზე. რაფაელოვმა უკვე მიიღო ფიცი და შეუდგა თანამდებობის აღსრულებას. გუშინ, 1 ივლისს, იგი გუბერნატორს წარუდგა. სხვათა შორის, მოურავმა სთხოვა გუბერნატორს ნება-დართოს **ხელოსანთა კრების მოწვევისა** განსაკუთრებულ კომისიის ასარჩევად. ამ კომისიამ უნდა ხელოსანთა გამგეობის ფულის ანგარიში მოახდინოს. ამას გარდა რაფაელოვს აზრადა აქვს დააარსოს ხელოსანთათვის სამკურნალო და მოხუცთა თავშესაფარი, რისთვისაც ცალკე კრება იქმნება მოწვეული. ამ საგნის შესახებ რაფაელოვმა რამდენისამე წლის წინად შუამდგომლობა აღძრა, მაგრამ დღემდე ვერ გაკეთდა საქმე, რადგანაც წინანდელი მოურავი ხელოსანთა ხელს უშლიდა. ამ საქმისათვის 480 მანეთი შეიკრიბა და არ. ბებუთოვმა 300 ოთხ. საჟ. მიწაც შესწირა.

✦ ახლად გამოცემულს პირველ საარჩევნო სიებიდანა სჩანს, რომ თავის ცენზით **არჩევნების ნება აქვს** 880 კაცს, ხოლო სავაჭრო სამრეწველო ცენზით 218, სულ—1098 კაცს.

მართულებას შერჩნენ. მიზეზად ის სთქვეს, რომ რიონის მარჯვენა ნაპირი მარცხენაზე ბევრად უფრო მაღალიაო, რაიცა ძნელად დასაძლევს დაბრკოლებას წარმოადგენსო სთქვეს და შერჩათ ნათქვამი, თუმცა მთელის ბალახვანის ქუჩის (იმ დროს დაუსახლებელის) დაყოლება ორივე ნაპირი თანაბარი სიმაღლის არის!..

1895 წლამდე რკინის გზა თავისს ლიანდაგსა და ქუთაისი თავისს შტოს თითქო მოურიგდნენო... მაგრამ სწორედ ამ წელს, 28—30 ოქტომბრისას, მოვიდა დიდი ხშირი წვიმები. ნიაღვრებმა წალეკა რკინის გზა გვირაბიდან დაწყებული რიონის სადგურამდის ისე, რომ ხელ ახლავ გასაკეთებელი შეიქნა: შორაპნის სადგური დაანგრია და წაიღო **ყველა ხიდები** სადგურებ მარელისსა და რიონს შუა!

მაშინ ქუთაისი შეინძრა და დაფაცურდა როგორც ერთი კაცი. არავინ მოსწრებია ისეთს ერთსულობას ქუთათურებისას, როგორც იმ დროს იყვნენ ისინი დიდიდან პატარებამდე გატაცებულნი. „რკინის გზის მთავარი ლიანდაგი ქუთაისში“—ფხიზლობაში ენაზე ეკერათ და ძილში სიზმრად ჰქონდათ გადაქცეული. ხოლო ენა და სიზმარი აუცილებელი ნართი იყო გაფაციცებული საქმიანობისა, რომლის მაგალითს, ჩვეულების წინააღმდეგ, იძლეოდა მაშინდელი საბჭო და გამგეობა.

ნოემბრის 7-ს იმავე 1895 წ. ქალაქის თავმა შეიტანა საბჭოში მოხსენება, რომელშიაც აღნიშნავდა აუცილებელს საჭიროებას, რომ ქუთაისს ეთხოვნა როგორც და სადაც ჯერ იყო ამიერ-კავკასიის რკინის გზის პირდაპირ ქუთაისზე გაყვანა. საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა მინდობოდა ქალაქის თავს სათანადო შუამდგომლობის გაწევა ამ საქმეში.

იმავ დროს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა მიჰმართა ქუთაისის გუბერნატორს ოფიციალურის წერილით (ნოემბრის 11 № 3095), რომელშიაც, მოკლედ უთვალისწინებდა რკინის გზის გაყვანის პროექტების ისტორიას, წალეკილის ლიანდაგის მიმართულების უვარგისობას, იმ დროსვე მხარს აძლევდა ქუთაისის ქალაქის შუამდგომლობას ამ საქმეში და სთხოვდა მიეცა მისთვის ჯეროვანი მსვლელობა.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარემ, ამ წერილის სათაურში მოხსენებულის წინადადების ავტორმა, ვრცელი, 540 სიტყვიანი ტელეგრამით მიჰმართა გზათა მინისტრს. „ქუთაისიო, სწერდა სხვათა შორის ავტორი ამ ტელეგრამაში,—არის შუაგული ადგილი გუბერნიის გამგეობისა, სასამართლო დაწესებულებათა და ვაჭრობა-მრეწველობისა; აქ არის თავმოყრილი თითქმის ყველა სასწავლო დაწესებულებანი მთელის გუბერნიისათვის; აქ თავდება ტყვიბულის ქვანახშირისათვის გაყვანილი რკინის გზა, აბასთუმნიდან მომავალი და ოსეთის სამხედრო შარა გზები; განზრახულია, რომ ამავე ქალაქზე გამოიყვანონ რუსეთიდან კავკასიის ქედზე გადმომავალი რკინის გზა. ერთი სიტყვით, არსებითი სარგებლობა მთელი გუბერნიის მილიონი მცხოვრებლებისა ბევრათ თუ ნაკლებათ ამ ქალაქში იყრის თავს.

„ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების სახელით, რომელიც მთელს გუბერნიაში ერთათ-ერთი დაწესებულებაა მოკლევდიან კრედიტისათვის, და რომლის არსებობა მჭიდროდ დაკავშირებულია მთელის გუბერნიის ვაჭრობასა და მრეწველობასთან, მე ვბედავ შევაწუხო თქვენი ბრწყინვალება ამ თხოვნით, რომ თქვენი შემწეობა ამოუჩინოთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ქუთაისზე გამოყვანის საქმეს, თავდაპირვანდელის პროექტისამებრო“...

ამ ტელეგრამის პასუხად გზათა მინიტრმა აუწყა ავტორს, რომ თქვენი ტელეგრამა გადაეცა სახელმწიფო რკინის გზათა გამგეობის ვიცე-პრეზიდენტს გორჩაკოვს საქმის გარემოების ადგილზე გამოკვლევისათვის და თავის დასკვნის წარმოსადგენადაო... იმ დროს ბ-ნი გორჩაკოვი უკვე ჩამოსული იყო და ინჟენერების თანხლებით ათვალიერებდა აოხრებულ ლიანდაგს და იკვლევდა ძველსა და ახალს მიმართულებას გზისას. მას ჰქონდა უფლება, თუ საჭიროდ დაინახავდა, აერჩია სრულიად სხვა ახალი გზა რკინის გზისათვის, თუ გინდ ამისათვის საჭირო ყოფილიყო თვით დიდი გვირაბის მიტოვებაც, ოღონდ იმ პირობით კი, რომ ამ უკანასკნელს შემთხვევაში ახალი გვირაბის გაკეთება არ ყოფილიყო საჭირო. ადგილის მცოდნე კაცების სიტყვით, ლიხის მთაზე უგვირაბოთ შეიძლებოდა რკინის გზის გაყვანა, თუ ლიანდაგს გაატარებდენ კორბოულის მაღლობით: საბაჟოზე, ზესტაფონზე, სიმონეთსა და ქუთაისზე.

სანამ გორჩაკოვი და მისი დასი ინჟენერებისა იკვლევდა გზის წინანდელსა და მომავალს მიმართულებას, ადგილობრივი გაზეთები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ საქმის გამორკვევაში. ისინი ერთხმად ემხრობოდნენ ქუთაისის შუამდგომლობას. ბანი დააწია ქუთაისს აგრეთვე „ნოვოე ვრემიამაც“ (ნოემბრის 19 № 1895 წ.) გაზეთი თანაუგრძნობდა ქალაქის მეცადინეობას რკინის გზის ქუთაისზე გაყვანისათვის, რადგანაც ამ შემთხვევაში „საქმე მარტო ქუთაისის სარგებლობას კი არ შეეხებაო“...

ყოველნაირ კანონიერ გზის ამ შემთხვევისათვის მაძიებელმა ქუთათურებმა მიჰმართეს მაშინ ქუთაისში ჩამოსულს პრინცს ა. პ. ოლდენბურგისას. თ—დმა პ. ა. თუმანიშვილმა მისს უმაღლესობას მიართვა მოკლედ საქმის მთავარ საგნების აღმნუსხავი „სამახსოვრო წერილი“. მისმა უმაღლესობამ აღუთქვა მათ შეძლებისა და გარემოებისამებრ დახმარება...

ხმა ამოიღო აგრეთვე კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბმაც, რომლის უფროსმა მოსწერა ქუთაისის ქალაქის თავს ოფიციალურად, (25 ნოემბ. 1895 წ. № 20265) რომ „რკინის გზის ლიანდაგის მიმართულების შეცვლა ყვირილასა და სამტრედიას შუა, რასაც მეცადინეობს ქუთაისი, სასურველია აგრეთვე სამხედრო უწყებისათვისაცო“...

ბ-ნმა გორჩაკოვმა შესრულებულად სცნო თავისი მისსია და გაბრუნდა პეტერბურგს. მისი აზრით, მაშინდელ პირობებში არ იყო მაინცა და მაინც აუცილებლად საჭირო და ფულის მხრივ დიდად მოსაგები დაუყოვნებლივ შესრულება ქუთაისის შუამდგომლობისა...

ამ ამბავმა ცივი წყალი გადაასხა ქუთათურების აღგზნებულობას. მაგრამ ხანგრძლივი არ ყოფილა მათი სასოწარკვეთილება: მალე პეტერბურგიდან მოვიდა ტელეგრამა, რომელიც შემდეგ გამართლდა, რომ „**გზათა მინისტრმა, თავადმა ხილკოვმა განკარგულება მოახდინა—გამოიკვლიონ გზის მი-**

✦ სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი ბ-ნი ლოპატინსკი, სამინისტროს მოწერილობით, ამ თვეში ხარკოვს მიდის **ფილოლოგთა კრებაზედ** დასასწრებლად.

✦ აზრადა აქვთ **ხონის სამოსწავლო სემინარიაში** შესცვალონ ინსტრუქცია მოსწავლეთა პანსიონში მოვლა-შენახვისა. ამ საქმის გამოსარკვევად აგვისტოს პირველ რიცხვებიდან დაიწყება საპედაგოგიო საბჭოს კრებები.

✦ მოგვივიდა მე-7 № რუსულის ჟურნალის „Кавказск. Вѣстник"-ისა, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია: არბოლის მოთხრობა „ყოველი მხრიდან", „ბიზანტიის გავლენა ქართველთა კანონმდებლობაზე" ნ. თავდგირიძისა და სხვა.

✦ მომავალ სამოსწავლო წლიდან ყარსში, ქალაქის ხარჯით, **არსდება დედათა პროგიმნაზია**.

✦ ინჟენერი გაიდებუროვი დანიშნულ იქმნა **შავის ზღვის პირის გუბერნიაში** სამუშაოთა გამგედ.

✦ რკინის გზის სად. ახალ-სენაკიდან **გვატყობინებენ**, რომ იქ, 29 ივნისს, სადგურის ბაქანზე ჟანდარმებსა და ზოგიერთ მგზავრთა შორის მოხდა უსიამოვნება. მე-15 ნომრის მატარებლის მოსვლის დროს მგზავრი დ. ხმაურობდა და უწესოდ იქცეოდა, ამ დროს მისულა ჟანდარმი და უთხოვნია დაწყნარება, მაგრამ შელაპარაკებიან ერთმანეთს და ვილაცას ჟანდარმისათვის დაუკრავს. ამაზე ჟანდარმს ხმალი ამოუღია, რომელიც მგზავრებს წაურთმევიათ. ამხანაგს მიშველებია მეორე ჟანდარმი, რომლისათვისაც უცემიათ და ქვებიც უსროლიათ. ორივე ჟანდარმი ძალიან არიან ნაცემი. პირველ ჟანდარმისათვის ქვით სახე გაუტეხიათ.

✦ გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს ჟურნალ „მოამბის" მე-5 ნომერი შემდეგის შინაარსისა: 1) ანტონ ზურაბიჩი, (ეტიუდი) შ. არაგვისპირელისა (დასასრული); 2) ტორკვემადა.—დრამა 5 მოქმედებად, ვიქტორ-ჰიუგოსი, თარგმანი კ. ყიფიანისა (გაგრძელება); 3) მებრძოლნი.—(ამბავი ბურ-ინგლისელთა ომიდან) თ. ს—ი; 4) თელავის რექტორის გაიოზის სიტყვა სწავლის შესახებ.—ა. ხახანაშვილისა; 5) უცხოეთის მიმოხილვა.—სამხრეთ აფრიკა და ინგლისი; 6) დამატება.—საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე.—ფრანგულიდან ნათარგმნი გ. დ—სა.

✦ ჩიბათის უფასო სამკითხველოს გამგე მღვ. ბ. ჯორბენაძე გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „უღრმეს მადლობას ვუცხადებთ იმათ, რომელთაც ჩიბათის უფასო სამკითხველოს შემოსწირეს წიგნები და გაზეთები. შემომწირველთა სია: ქ-ნმა ნ. ჭყონიასამ—გაზეთი „Новое Обозрѣніе" მთელი წლით, ს. ჭყონიამ 89 სუსულ-ქართული წიგნი, 51 №№ სხვა-და-სხვა ჟურნალი და გაზეთი „ცნობის ფურცელი" ერთის წლით, პ. სურგულაძემ—გაზეთი „კვალი" მთელის წლით, გ. თავართქილაძემ—40 ცალი სხვა-და-სხვა წიგნი, ს. სულაბერიძემ—6 წიგნი რუსული, ი. გეონდიანცმა 13 რუსულ-ქართული წიგნი, ბურიკინმა—11 რუსული წიგნი ხანგანეზოვმა—5 წიგნი და ა. ქაჯაიამ—3 წიგნი".

✦ უსახლო საზოგადოების დირექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომელსაც იგი ყოველ წელს უგზავნის 170 მუქთ ბილეთს მოხელეთა სასიარულოდ ცხენის რკინის გზით, რომ ფოტოგრაფიული სურათები წარმოუდგინონ იმ მოხელეებისა, რომელთაც ეს ბილეთები ეძლევათ, რაიცა საჭიროა კონტროლისათვის, რათა ბილეთის პატრონმა თავისი ბილეთი სხვას არ გადასცეს. დირექტორი ამასთანავე აცნობინებს, რომ მოხელეთ შეუძლიათ სურათები გადაიღონ „ლუისის" ფოტოგრაფიაში საზოგადოების ხარჯითაო.

✦ ამ დღეებში სოფელ ტეზერში (გორის მაზრა) ქურდებს ეკკლესია გაუტეხიათ, მაგრამ წაღებით ვერაფერი წაუღიათ, რადგანაც ეკკლესიის სამკაული და ფული, სასულიერო მთავრობის განკარგულებით, წინამძღვარსა ჰქონია ჩაბარებული სახლში შესანახად.

✦ გუშინ, 1 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ალავერდის სპილენძის სადნობ ქარხნის მემანქანედ ყოფილის ფ. კატლოვენკოსა და დ. დუბინინისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ჩუმად ვერცხლის მანეთიანების მოჭრა და ხალხში გავრცელება. ბრალდებულთათვის მიუსწრიათ 1901 წლის სექტემბერში, იმ დროს, როდესაც ისინი ფულის მოსაჭრელად ემზადებოდნენ. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ფ. კოტლოვენკო და დ. დუბინინი და მიუსაჯა მათ ყოველისავე უფლებათა უპირატესობის ჩამორთმევა და 6 წლით კატორღაში გაგზავნა.

✦ კონსულის ქუჩაზე ნაფიც ვექილის ეგიაზაროვის სახლი ისე დაძველებულია თურმე, რომ ცხოვრება საშიშია. ამის გამო პოლიციის მე-4 ნაწილის ბოქაულს უთხოვნია ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის დანიშნოს ხუროთ-მოძღვარი ეგიაზაროვის სახლის შესამოწმებლად.

✦ ტფილისის ხელოსანთა გამგეობა ბარონის ქუჩიდან გუშინ, 1 ივლისს, გადატანილ იქმნა ექსარხოსის მოედანზე ბეგინიანცის სახლში.

✦ ამ ზაფხულს პრაქტიკულ მუშაობისათვის გზათა სამინისტრომ კავკასიაში გამოჰგზავნა 8 სტუდენტი გზათა ინსტიტუტისა, 3—რიგის პოლიტეხნიკუმისა და ერთი სატეხნოლოგიო ინსტიტუტისა. გზის ფულის გარდა მათ დაენიშნათ თვეში 75 მანეთი თითოს.

✦ ბორჩალოს მაზრის სოფელ საგარბაშეთის სოფლის მწერალი ვორობიოვი მიდენილა მახლობელს სოფელში, გზაზე ერთი თათარი შემოჰყრია, რომელსაც თორმეტი ცხენი მოუდიოდა. ვორიბიოვს ეჭვი აუღია თათარზე და უკითხავს, ვისია ცხენებიო. თათარს უპასუხნია: თავად აბხაზისაო. მაშინ ვორობიოვს დაუძახნია, შეჩერდიო. იმას პასუხის ნაცვლად ბერდანის თოფი დაუმიზნებია, ვორობიოვს კიდევ რევოლვერი უძვრია და ორივე მხრიდან ერთად გავარდნილა. ვორობიოვი ფეხში დაჭრილა. ყვირილზე და თოფის ხმაზე ხალხი მოცვივნულა, თათარს ცხენებისთვის თავი დაუნებებია და გაქცეულა. ამ ამბის შემდეგ ადმინისტრაცია შეუდგა დამნაშავის ძებნას და მალე შეიპყრო სამი თათარი, რომელნიც მონაწილენი აღმოჩნდენ ცხენების მოპარვაში.

✦ გამსესხებელ კასის პატრონის ივანაშვილის მზარეულის ივ. ივ. ლუხუტაშვილის სადგომი გაუტეხია ორს თათარს აბას-მამედ-ალი ოღლის და ჰუსეინ-ოღლის და 20 მანათის ნივთები წაუღიათ. ქურდები უკვე დააპატიმრა პოლიციამ და პასუხის გებაში მისცა.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ წერილით აცნობა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან ქალაქი კისრულობს მეორე საქალაქო სასწავლებლის შენახვას, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მოსწავლეთაგან შეტანილი სწავლის ფული ქალაქს გადაეცეს; ამასთანავე გამგეობა ურჩევს დირექტორს მომავალ სკოლის ინსპექტორად დანიშნოს აწ-არსებულ პირველ-დაწყებით საქალაქო სკოლის გამგე ვასილ ივანეს ძე პეტრიაშვილი.

✦ ქუთაისის ხმოსნების არჩევნების მოწინააღმდეგენი მაინც არ წყნარდებიან: როგორც გადმოგვცეს ბ. დ. ჩიკვაიძესა და სხვებს საკასაციო საჩივარი უნდათ მისცენ სენატს ქუთაისის საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილებისა გამო, რომლის ძალით ახალ ხმოსანთა არჩევა, გარდა ათის კაცისა, კანონიერად მიღებულია. ჩვენ ისიც გადმოგვცეს, ვითომ ერთ-ერთი ამ მომჩივანთაგანი კვალ-და-კვალ თან სდევს თავის საჩივარს, რომ ჩქარა დააბოლოვოს არჩევანთა საქმე, რა თქმა უნდა, ისე, როგორც თვითონ სწადია.

✦ ქუთაისის წყლისაყვანის ამხანაგობის მეთაურმა, ინჟენერმა მიხაილოვმა უკვე დაიწყო წყლის მილების ჩასაყრელ ქუჩების დაპლანვა. ყველაზე უფრო მაღალ ადგილას ასაყვანი გზა წყლისა არქიერის გორაზე მიმავალი გზაა და ეს გზა უკვე დაპლანულია, ამ ჟამად ფერმის ქუჩას იკვლევენ, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე.

✦ იმერეთის ეპისკოპოსმა ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ ქვემო იმერეთის საბლაღოჩინოების რევიზია უკვე დაასრულა. ამ ჟამად ყოვლად სამღვდელო ზემო იმერეთში ათვალიერებს ეკკლესიებს და, როგორც გადმოგვცეს, მთელი ეს მხარე ჰსურს მოიაროს და რაც-კი ეკლესიებია, დიდი თუ პატარა, ყველა დაათვალიეროს. ყოვლად სამღვდელოს თავისი კრებული თან ახლავს. ქუთაისს მხოლოდ აგვისტოს დამლევს მოელიან.

✦ გლეხმა ი. ჭელიძემ სახაზინო მიწა აიღო იჯარით არქიერის გორაზე. ეს ორი წელიწადია გაი-გაგლახით სახლის ასაგები მასალა შეაგროვა და ერთ ქოხში დრომდე თავ-მოყრილი ჰქონდა. 23 ივნისს ვიღაცას ბოროტ-განზრახვით ცეცხლი გაუჩენია და ჭელიძის ნაამაგარი სულ გადაიწვა.

✦ შარშან მაისში ბ-ნ სიმსონ თოფურიას სამკურნალოში არჩეულის გასაღებით კასსა გაადეს და ოთხას თუმნამდე ფული და ნივთეულობა წაიღეს.

ამ ქურდობის გამო ოთხი კაცი კიდევაც გაციმბირეს. ერთი ქურდთაგანი, რომელსაც მეტი ბრალი ედებოდა, ამ ბოლო დრომდე სულ იმალებოდა, ვერსად ვერ ნახეს. ბოლოს დამნაშავე თვითონ გამოეცხადა პოლიციას და გულ-ახდილად აღიარა თავისი დანაშაული.

სოფელ მარტვილის მცხოვრები (სამეგრელოშია) 19 წლის ნესტორ ხარებავა ამ თვის 25 რიცხვს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაასამართლა. აქაც გულ-წრფელად აღიარა უმაწვილმა, რომ მოსამსახურედ ვიყავი ბ-ნ თოფურიასთან და არჩეულის გასაღებით მე თვითონ წავიღე ფულებიცა და ოქროს საათიც და ნაქურდალი ამხანაგებმა გავინაწილეთო.

სასამართლომ ერთის წლით და ოთხის თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯა ხარებავას.

✦ ამავე დღეს კიდევ ერთი საქმე გაირჩა იმავე სასამართლოში. სოფ. მაღლაკის მცხოვრები თავ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ნაჟარაძე შარშან 7 სექტემბერს ქუთაისიდან თავისს სოფელს მიდიოდა. გზით დუქანში შესულა, უსვამს კარგად და ბოლოს ქეიფიც მოუნდომებია. იქვე, დუქანთან ახლოს, ჯარის კაცი, გვარად რაჟკოვი, გზაზედ იდგა, წყლის დასალევად მისულიყო. თავ. ნიჟარაძემ რაჟკოვი მიიპატიჟა, ღვინო უთავაზა, მერე კიდევაც უთამაშნიათ ერთად, მაგრამ როგორ მოხდა და რა დროს დასჭრა თავ. ნიჟარაძემ რაჟკოვი მარჯვენა ფერდში—ეს ვერ გამოირკვა ორის მოწმის ჩვენებით, რომელნიც ამ საქმის გამო დაბარებულნი იყვნენ 25 ივნისს. მხოლოდ თვითონ რაჟკოვი იმას ამტკიცებდა, რომ მე თამაში არ მინდოდა, თავ. ნიჟარაძე-კი ძალას მატანდა, ბოლოს ხანჯალიც დამკრა ფერდშიო.

მართულება ამიერ-კავკასიის რკინის გზის პირ-და-პირ ქუთაისზე გამოსაყვანათაო".

ამ ტელეგრამის შინაარსის კერძოდ განსჯის დროს საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარემ, რომელსაც არ დაეთანხმა ქალაქის თავი, სრულიად სამართლიანად შენიშნა, რომ თუ ქუთაისმა თავისი მცოდნე წარმომადგენლები არ იყოლია გამომკვლეველთა შორის, მაშინ თვით ეს სანატრელი გამოკვლევა, რაზედაც დღემდის ოცნებობდა ქუთაისთან ერთად მთელი გუბერნია, გადაიქცევა ორ-პირ მახვილად, რომელმაც შეიძლება ყელი გამოსჭრას ქუთაისსაო...

ასეც მოხდა.

ჩამოვიდა ინჟინერთა დასი და შეუდგა გამოკვლევას. ქუთაისსა და ყვირილას შუა მათ დაჰყვებოდა ქალაქის თავი, რომელსაც საქმისათვის სიფხიზლე და ინჟენერთათვის ჩასაგონებელი მჭევრმეტყველობა არ დაუკლია, მაგრამ ამ ძვირფასმა თვისებებმა მაინც ვერ გასწიეს რკინის გზათა ინჟენერობის ცოდნის მაგიერობა და თავადის პ. თ—ლის სიტყვები წინასწარმეტყველებასავით ასრულდა...

ეს დასი ინჟინერებისა გორჩაკოვზე უფრო „ცალ-ყბად" მოეკიდნენ რკინის გზის ქუთაისზე გაყვანის საქმეს და წავიდნენ პეტერბურგში.

წავიდა პეტერბურგში ქალაქის თავიც. თან წაიღო ვრცლად დასაბუთებული მოხსენება და ისტორიული მიმოხილვა საქმისა გზათა მინისტრის მისართმევად; იქ დაიხმარა იმერეთის საზოგადო საქმეებისა და ყველა ტვირთ-მძიმეთა და დამაშვრალთა მფარველი და შემწე თავადი ივ. ა. ნაკაშიძე, ბევრი იმედები და კიდევ უფრო მეტი ტკბილი სიტყვები მოისმინა სამინისტროში, მაგრამ იმედები იმედებად და სიტყვები-სიტყვებად დარჩა, ჩვეულებისამებრ...

ასე ყოფილა და კიდევ დიდ-ხანს იქნება ასე ჩვენში: რასაც წაახდენს პატარა, მას ვერ გამოაკეთებს დიდი კაცი...

ასე მივიწყებული იყო წლევანდლამდის ეს საქმე სარკინის გზო უწყებისაგან, ხოლო წლეულს, როგორც ვსთქვით, რაკი დარწმუნებულან, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზა ვერ ჰყოფნის მიმოსვლისა და ვაჭრობა-მრეწველობის მოთხოვნილებას, განუზრახავთ ხაშურსა და ბათომს შუა მეორე ლიანდაგის გაყვანა.

ამ განზრახულის მეორე მიმართულების შესახებ ორი აზრი არსებობს ინჟინერთა შორის. ერთი ჯგუფი ინჟენერებისა იმ აზრის არის, რომ მეორე ლიანდაგი უნდა გაყვანილ იქმნას ახლანდელ ლიანდაგის დაყოლება, რადგანაც ამითი გზის მოვლა-გამგეობა გაადვილებულ იქმნება. მეორე ჯგუფი კი ამბობს, რომ ახლანდელი ლიანდაგი გვირაბიდან ყვირილამდე ისეთს ვიწრო ხეობაშია გაყვანილი, რომ მის გვერდით კიდევ მეორე ლიანდაგის გაყვანა თითქმის ყოვლად დაუძლეველს ტეხნიკურ დაბრკოლებას წააწყდებაო...

საჭიროა მეორე ლიანდაგი სულ სხვა ახალის მიმართულებით იქმნას გაყვანილიო, სწერდა ამ წლის თებერვლის „კავკაზ"-ში ბ-ნი პ. ი. რომელსაც ეტყობა საქმის ყოველივე წვლილის ზედ-მიწევნით ცოდნა. „ახალი ლიანდაგი გზისა, ამბობს იგი, მარჯვნივ უნდა მიიწიოსო, გაჰყვეს იმერეთის ძველ სამხედრო გზას (ს. კორბოულით), მიყვანილ იქმნას ქუთაისამდე და იქიდან ახალ-სენაკამდე, სადაც შეუერთდება ფოთის გზას. ეს მიმართულება, ბ-ნის პ. ი.—ს სიტყვით, 15—20 ვერსით შეამოკლებს გზას და შემდეგნი უპირატესობანი ექნება: ა) ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხალხისათვის სასარგებლო ზედ-გავლენა გავრცელდება რიონის მთელს მდიდარს ხეობაში; ბ) ბათომისა და ფოთის რკინის გზის შეერთება გაუადვილებს მიმოსვლას ამ ადგილებისა და ახალ-სენაკის მიდამოების მცხოვრებთ; გ) ეს გზა გააუმჯობესებს და გააადვილებს სავაჭრო ურთი-ერთობასა და მიმოსვლას ბათომსა, ფოთსა და ქუთაისს შუა; დ) ბათომისა და ფოთის რკინის გზით შეერთებას სამხედრო მნიშვნელობაც ექმნება, რადგანაც გააადვილებს შავიზღვის ნაპირების დაცვას"...

ამ ნათქვამს ბ-ნის პ—სას იმავე გაზეთში ბ-ნი მარელისელი დასძენდა შემდეგს: „რაც შეეხება რკინის გზის გაყვანას ქუთაისსა და ახალ-სენაკს შუა, ეს საქმე არავითარს სიძნელეს არ წარმოადგენს. ეს მიმართულება გამოიკვლია 1896 წ. ინჟინერმა დუნინმა (1895 წ. ნიაღვარისაგან წალეკის შემდეგ), და ამავე მიმართულებით რკინის გზის გაყვანას თხოულობდნენ და სცდილობდნენ თვით ქუთათურები. ინჟენერმა ტომაშევიჩმა მაშინვე გამოიკვლია გზა ქუთაისსა და აჯამეთს შუა და ინჟენერმა საველიევმა აჯამეთსა და ყვირილას შუა. ქუთაისის ინტერესი მოითხოვს, რომ იგი იყოს რკინის გზის მთავარს ლიანდაგზე და შემოკლდეს ფოთსა და ბათუმს შუა გასავლელი მანძილი...

ქუთაისსა და ნამეტურ მისს თვით-მმართველობას ახლა ჰმართებს მთელის თავისის სიმხნისა და საქმის გაკეთების უნარის გამოჩენა. თუ მთავარი ლიანდაგი ქუთაისზე გაატარეს, ქალაქი შეიძლება ქალაქს დაემსგავსოს, გამოცოცხლდეს, მკვიდრს წელი გაუმაგროს და გარეშენი მიიზიდოს, თუ არა, მარტო დაფასებითი გადასახადისა და სალორიაში მონაქერი შემის ანაბარა ვერც შორს წავა და არც ახლო ივარგებს...

ქუთათურებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ თუ ეს მეორე ლიანდაგიც ასცდა მას, მერე საბოლოვოდ უნდა დაიწმინდონ იმედი, რომ მათს ქალაქს ოდესმე ეღირსოს მაგისტრალი...*)

შორე მომავლისათვის განზრახული კავკასიის მთებზე გადმოსაყვანი რკინის გზა ოდესმე კიდეც რომ გაატარონ ქუთაისზე, ამ ქალაქს მაინც ვერ გაუწევს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ-ლიანდაგის არა თუ სრულ მაგიერობას, არამე მეათასედსაც...

ხოლო ჩვენდა თავათ გავახსენებთ ქალაქის თვით-მმართველობას, რომ ახლა ცოტათი უფრო ადვილი იქნება მისთვის ეწიოს საწადელს, ვიდრე წინანდელ საბჭოსა და გამგეობისათვის იყო 1895—1896 წლებში, რადგანაც გარდა იმისა, რომ ამ ჟამად თვით რკინის გზის მთავარ-სამმართველოს აქვს განზრახული ხაშურ-ბათუმს შუა ახალი ლიანდაგის გაყვანა, მთელი ჯგუფი იმავე რკინის გზის ინჟენერებისა უპირატესობას აძლევენ სწორედ იმ მიმართულებას, რაც ქუთათურების ნატვრას შეადგენდა და შეადგენს...

თ. მ—მე.

---

*) მთავარ-ლიანდაგი.

რაჭკოვი თუმცა სამ დღეზე კარგად შეიქმნა და კვირა ნახევრის შემდეგ სრულებით მორჩა და არავითარი ზიანი იმისათვის ჭრილობას არ დაუტოვებია, მაგრამ ექსპერტი—ექიმი მაინც იმას უმტკიცებდა სასამართლოს, რომ რაჭკოვი დღეს თუმცა კარგად არის, თავ. ნიჟარაძის ხანჯალმა რაჭკოვს მაინც სასიკვდილო ჭრილობა მისცა და იგი მძიმე ჭრილობათა რიგობას ეკუთვნისო.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო თავ. ალექსანდრე ნიჟარაძე იმით, რომ რაჭკოვი უმიზეზოდ მძიმედ დასჭრა ხანჯლით და ამისათვის მიუსაჯა უფლებათა ჩამორთმევა და ერთის წლით ციხეში ჩაჯდომა.

რუსეთის ქრონიკა

✦ ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებლებსა და საპროფესიონალო სკოლებში შემოიღოს ფოტოგრაფიის სწავლება.

✦ საინტერესო პროექტი შეუმუშავებია მოსკოვო-კურსკ—ნიჟეგოროდისა და მურომის რკინის გზების გამგეობებს. პროექტით, ამ გზებზედ მოსამსახურეთ მიეცემათ ფული აგარაკების და საზამთრო სახლების ასაგებად ლიანდაგის მახლობლად მდებარე. რკინის გზის ადგილებში. სახლის აშენების შემდეგ მოსამსახურემ ჯამაგირიდან უნდა გაისტუმროს ვალი. გამოსყიდვის შემდეგ იგი სახლის მოსაკუთრედ და მიწის მოიჯარადრედ ჩაითვლება.

✦ მთავარმა შტაბმა განმარტა, რომ ჯარის-კაცთა წარმოდგენების გასამართავად ყაზარმებში, როდესაც წარმოდგენებს გარეშე ხალხიც ესწრება, ნება-რთვის აღება სამხედრო მთავრობის გარდა საჭიროა ადგილობრივ პოლიციისაგანაცაო.

✦ ამას წინად გაზეთები სწერდნენ, რომ მთავრობას აზრადა აქვს საქველ-მოქმედო აზრით განსაკუთრებული გადასახადი გააწეროს იმათ, ვინც სადგურის ბაქანზედ გავლენ წამსვლელთა გასაცილებლად და მომსვლელთა დასახვედრადაო. ამის შესახებ „ტორგოვო-პრომ. გაზეთი“ სწერს, რომ ეს საქმე წინადაც რამდენჯერმე განიხილა გზათა სამინისტრომ, ხოლო ეხლა ლაპარაკი ჩამოვარდა ნიკოლოოზისა დ ამიერ-კავკასიის რკინის გზების შუამდგომლობისა გამო. ამ გზებს უთხოვნიათ სამინისტროსათვის ზემოხსენებულ გადასახადის შემოღება, მაგრამ სამინისტროს ნაადრევად უცვნია იგი.

✦ გზათა სამინისტროს აზრადა აქვს შეცვალოს წესი რკინის გზით იმ ნივთების გაგზავნისა, რომლებზედაც ფასია დადებული. ჰფიქრობენ ან გააადვილონ გაგზავნის წესი, ან გაადიდონ ის ჯილდო, რომელიც ასეთ ნივთების დაკარგვის დროს პატრონს ეძლევა.

ქუთაისის განახლებულ საბჭოს პირველი კრება

პარასკევს, 28 ივნისს, საღამოს 9 საათზე, ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით მოხდა განახლებულ საბჭოს პირველი კრება. კრებას დაესწრო 42 ხმოსანი. თავმჯდომარის წინადადებით ხმოსნებმა ჯერ ფიცი მიიღეს ორ ჯგუფად, მართლ-მადიდებლისა და კათოლიკის ეკლესიის წესით, და შემდეგ, საქალაქო დებულების მე-120 მუხლის თანახმად, შეუდგნენ განსაკუთრებულ შემთხვევისათვის საბჭოს თავმჯდომარის არჩევას. კანდიდატად დაასახელეს მხოლოდ ერთი, ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი ა. ი. ფიფინოვი, რომელმაც კენჭის ყრით მიიღო 42 თეთრი შავი კი არც ერთი.

განახლებული საბჭო საზოგადოდ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. იქა ჰნახავთ თითქმის ყოველი წრის წარმომადგენელს. ზოგიერთები ეხლავე აღიარებენ მოქმედების მომავალ პროგრამას. ვისურვებთ, რომ განახლებული საბჭო ახალის ძალითა და მხნეობით შეუდგომოდეს მოვალეობის ასრულებას.

დონ-ვალიანი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 ივნისი

კრონშტადტი. მოვიდა იტალიის კრეისერო „კარლო-ალბერტო“, რომელზედაც კონტრ-ადმირალის მირაბელლოს ბაირაღია.

მოსკოვი. ოლქის სასამართლომ დაამთავრა სტუდენტ მიშჩენკოს საქმის განხილვა. მიშჩენკოს ჰბრალდებოდა თავის ნათესავის კრუშინსკის მოკვლის განზრახვა. გამოირკვა, რომ მიშჩენკო ცოლქმრის დაუკითხავად სცდილობდა კრუშინსკის ცოლის ქმრისაგან განთავისუფლებას. ექსპერტიზის და ნაფიც-მსაჯულთა დადგენილების თანხმად, მიშჩენკოს სულით ავადმყოფთა სამკურნალოში მოათავსებენ.

პარიზი. პალატის საღამოს სხდომაზე ენარი შეეკითხა მთავრობას საკონგრეგაციო სკოლების დახურვის შესახებ. კომბმა მოითხოვა ეს კითხვა წამოყენებულ იქმნას სხვა მორიგ საქმეთა შორის. როდესაც კომბი ტრიბუნაზე ავიდა, ხმაურობა ასტყდა და ლაპარაკის ნება არ მისცეს. საშინელი არეულობა ასტყდა. სხდომა შეწყვეტილ იქმნა. კინაღამ ჩხუბი ჩამოვარდა მაშინ გალერეიიდან ხალხი გაიყვანეს და სხდომა ხელახლა დაიწყო. კომბმა განაცხადა, რომ კონგრეგაციის სასწავლებლების წინააღმდეგ მიღებული ზომები სრულიად მართლდება. პალატამ 328 ხმის უმეტესობით, 218 ხმის წინააღმდეგ, დაადგინა საქმე წამოყენებულ იქმნას სხვა მორიგ საქმეთა შორის.

პოზნანი. იტალიის მეფე დილის 10 საათზე მოვიდა; მიეგებნენ ჯარების სარდალი, უმაღლესი სამხედრო მოხელენი და პოლიციის პრეზიდენტი. მეფემ ყველას ხელი ჩამოართვა, საპატიო დარაჯს ჩამოუარა და 10 საათსა და 10 წ. წავიდა.

ლონდონი. ოფიციალურს განცხადებაში გვირგვინის კურთხევაზე ნათქვამია, რომ ექიმების აზრით, თუ მეფის ჯანრთელობაში რამე ცვლილება არ მოხდა, მეფეს შეეძლება გვირგვინი იკურთხოს 8 და 12 აგვისტოს შუა. უფრო ადრე შეიქმნა მეფე კარგად, ვიდრე ამას მოელოდნენ. ავადმყოფობა ისე გაძნელებული არ გამოდგა, როგორც ეგონათ. მაგარმა აგებულობამ ხელი შეუწყო ამ გვარ შედეგს. გვირგვინის კურთხევის დანიშვნის დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.

პეტერბურგი. 29 ივნისს გატჩინოდან პეტერგოფში მოვიდნენ საზაფხულოდ დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა მარიამ ალექსანდრეს ასული ქალით პრინცესა ბეატრისათი და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული შვილებით. იმავე მატარებლით მოვიდა პეტერგოფში ხელმწიფე მემკვიდრე.

29 ივნისს აბისინიის ნეგუსის ელჩი აბუნა მათეოსი მიიღო პეტერგოფის სასახლეში ხელმწიფე იმპერატორმა.

კონსტანტინეპოლი. ბულგარიის სავაჭრო სააგენტოს საქმე სერესში მოარიგეს. პოლიციის უფროსი სკი-ეფენდი გამოსცვალეს.

ლონდონი. დღეს ლონდონში მოვიდა კიტჩენერი. გენერალს გულითადად მიეგება უელსის პრინცი. გზაში ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

ოდესა. ვალდეკ-რუსსო იახტას „არიადნას“ პატრონის და ამ იახტაზე მყოფ ფრანგებთან ერთად მიიწვიეს ვახშმად „ჰოჰენცოლერნ“-ის იახტაზე.

ლონდონი. ბიულეტენი იუწყება, რომ მეფე ძალიან ადვილად და ჩქარა რჩება. ამას იქით ბიულეტენი დღეგამოშვებით იქმნება გამოცემული.

30 ივნისი.

ცეტინიე. დღეს დიდითსასახლის ეკკლესიაში დაქორწინდნენ მთავარი მირკო და კონსტანტინოვიჩის ქალი. ჯვარი დასწერა მიტროპოლიტმა. ჯვრის წერის შემდეგ ახალგაზდა ცოლქმარი სასახლეში წავიდნენ ეტლით; ხალხი მათ აღტაცებით ეგებებოდა. საღამოს სასახლეში დანიშნულია სადღესასწაულო სადილი.

ბელგრადი. დეპლევო-სელოს ახლო ერთმანეთს შეებრძოლნენ ალბანელები და სერბები; მოკლულია ორი სერბი.

გუშინ აქ დაიწყო გამოსვლა ახალმა გაზეთმა ალბანურს ენაზე სახელწოდებით „ალბანია“.

პარიზი. „ტან“-ი იტყობინება, რომ სერბიის მეფე დედოფალი სექტემბრის ბოლოს ყირიმს გაემგზავრებიანო.

პარიზი. პალატის სესსია დღეს დაიხურა.

ლონდონი. კიტჩენერს დიდის ამბით მიეგებნენ; მის პატივსაცემლად სენ-ჯემის სასახლეში საუზმე გაიმართა. შემდეგ კიტჩენერი ბუკინჰამის სასახლეში წავიდა, სადაც მეფემ და დედოფალმა ინახულეს.

პარიზი. მარტინიკიდან ოფიციალური ცნობა მოვიდა, რომ ვულკანის უკანასკნელ აფეთქებისაგან არავინ მომკვდარა.

ცეტინიე. გუშინ აქ ჩამოვიდნენ საგანგებო დესპანნი ტურინის გრაფის მეთაურობით. ადმირალმა დეტიბერნომ იტალიის მეფის ბარათები მიართვა მთავართ ნიკოლოზსა და მირკოს, უკანასკნელის მეუღლეს-კი—მშვენიერი დიადემა.

სუემ-ვალი (გეჯას ოლქში). ახმედ-რატიბ-ფაშა, რომელიც ამას წინად გაიქცა სხვა-და-სხვა უზრუნველ ფინანსიურ გარემოებათა გამო, მექქას დაბრუნდა; მას დანაშაული ეპატია და სამსახურში შესვლის ნება მიეცა.

სიმბირსკი. ალატირის მაზრის სოფელ მორენკოვის 15 გლეხმა შუამდგომლობა აღძრეს, ნება მიეცეს მათ დაარსონ სამეურნეო ამხანაგობა, რომელიც პირველი იქნება სიმბირსკის გუბერნიაში.

ასხაბადი. 27 ივნისს, ღამით უცნობ ბოროტ-მოქმედებმა ძირი გამოუთხარეს ადგილობრივ საფოსტო კანტორის სადგომს და წაიღეს 14.000 მანეთი.

ჰელსინგფორსი. უმაღლესის ბრძანებით შეიცვალა წესი, რომლით ფინლანდიაში უნდა გამოცხადდეს ხოლმე კანონები და მთავრობის განკარგულებანი.

ჰელსინგფორსი. გუშინ, ნაშუადღევის 2 საათზე მოხდა მესამე საზოგადო სხდომა და შემდეგ სულ დაიხურა ნატურალისტების კრება.

კალუგა. საჭომ დაადგინა, ექვსი დესეტინა მიწა დაუთმოს სამასწავლებლო სემინარიის ასაგებად კალუგაში.

ვარშავა. „კურიერ ვარშავსკი“ იუწყება, საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო, რომ ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში მუსიკა ასწავლონ ქალებმა.

შანხაიდან მოსულმა ჩინელებმა ისე უცბად გაასაღეს აბრეშუმეული საქონელი, რომ ვარშავაში სამუდამო საწყობის გახსნას აპირებენ.

კრონშტადტი. გუშინ, საღამოს რვა საათზე ადმირალმა მაკაროვმა სადილი გაუმართა იტალიის ადმირალს მირაბელლოს. იმპერატორისა და მეფის სადღეგრძელოები დალიეს.

კონსტანტინეპოლი. პორტამ მიმართა სახელმწიფოებს ნოტით, რომლითაც უკმაყოფილებას აცხადებს, რომ კუნძულს კრიტზე პრინცის გეორგის სახეს სჭრიან ფულზე.

პეტერბურგი. დღეს ახალს პეტერგოფში ბალტიის გზით მოვიდა იტალიის მეფე. დასახვედრად ვოკზალზე შეიყარნენ დიდი მთავრები, მინისტრები და სასახლის მოხელენი. ოთხს საათზე მობძანდა ხელმწიფე იმპერატორი. მისი უდიდებულესობა და დიდნი მთავარნი მიუახლოვდნენ ვაგონს, საიდანაც გამოვიდა მეფე. შეხვედრა მეტად მეგობრული იყო, ხელმწიფე იმპერატორმა და იტალიის მეფემ ერთმანეთი გადაჰკოცნეს. მეფე მიესალმა დიდ მთავრებს და ხელმწიფეს წარუდგინა თავის ამალის პირნი. ხელმწიფე იმპერატორი და მეფე ერთად ჩაბრძანდნენ ხელმწიფის ეკიპაჟში, მეფე მარჯვენა მხრით, და მეხუთე საათის გასულს მისი უდიდებულესობის საკუთარ სასახლეში წაბრძანდნენ. ხალხი აღტაცებულის „ურას“ ძახილით ეგებებოდა.

1 ივლისი

პეტერბურგი. საღამოს პეტერგოფის სასახლეში სადილზე ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა იტალიის მეფეს: **„ცხოველისა და უღრმესის კმაყოფილებით ვეგებებით თქვენის უდიდებულესობის მობრძანებას. ჩვენ განსაკუთრებით სასიხარულოდ მიგვაჩნია, რომ თქვენმა უდიდებულესობამ დაიწყეთ თქვენი მოგზაურობა ჩვენში მოსვლით. მთელი რუსეთი ამით ხედავს ახალს საბუთს ნამდვილ მეგობრობისას, რომელიც აერთებს ჩვენ ორ სახელმწიფოთა გრძნობებსა და სიმპატიებს. ეს უფრო მეტად ცხად ჰყოფს ჩვენ ერთა შორის კეთილ განწყობილებას და ჩვენ ორის ქვეყნის საერთო ინტერესებს. გულითადად ვმადლობ თქვენს უდიდებულესობას მობრძანებისათვის და ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უდიდებულესობისას და გისურვებთ დიდებასა და კეთილ-დღეობას; ვსვამ სადღეგრძელოს დედოფლის ელენესას, თქვენის დედისას და მთელის სამეფო სახლისას; ვუსურვებ იტალიას აღყვავებას“.**

იტალიის მეფემ უპასუხა: „გმადლობთ, ხელმწიფევ, გულითად დახვედრისათვის და იმ გრძნობიერ სიტყვისათვის, რომლითაც თქვენმა უდიდებულესობამ მომიხსენიეთ მე და ჩემი ქვეყანა. მეგობრული გრძნობა, რომელიც დიდი ხანია საბედნიეროდ აერთებს იტალიასა და რუსეთს, განსაკუთრებით სასიამოვნოდ ჰხდის ჩემთვის აქ მოსვლას. პეტერბურგში წამოსვლისას, თან გამომჰყვა ჩემის ხალხის კმაყოფილი გრძნობა; იგი ჰხედავს ამაში მშვიდობიანობისა და აღყვავების ახალს თავმდებს. აღსავსე ამ გრძნობით, ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უდიდებულესობისას, ვუსურვებ აღყვავებას რუსეთს და დღეგრძელობას დედოფლებს მარიამ თეოდორეს ასულსა და ალექსანდრა თეოდორეს ასულსა და მთელს სამეფო სახლს.“

ცეტინიე. დღეს საღამოს მოვიდნენ ოსმალეთის დესპანნი თურქან-ფაშის მეთაურობით. თურქანმა გადასცა ახლად ჯვარ-დაწერილთ სულთანის ბარათი და საჩუქრები.

ლონდონი. სოლსბერი პარასკევს სამსახურიდან გადადგა; მის მაგიერად ბალფური დაინიშნა.

რომი. იტალია სიამოვნებით ეგებება ხელმწიფისა და მეფის შეხვედრას და აღნიშნავს, რომ ეს თავმდებია ევროპის მშვიდობიანობისა.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრებს სთხოვენ დაესწრნენ საზოგადოების სხდომას ოთხშაბათს, სამს ივლისს, საღამოს რვა საათზე.

განსახილველი საგნებია:

1) სასტატისტიკო ბიუროს წევრების ამორჩევა; 2) საბჭოს მოხსენებანი: ა) შუამდგომლობა ღონისძიების აღმოსაჩენად, რომ გამოფენის ზარალი დაიფაროს, ბ) შუამდგომლობა მუღანის მინდვრის მორწყვის შესახებ და გ) საზოგადო კრებათა და საბჭოს პროტოკოლები.

(უცხო პირებს შეუძლიათ დასწრება).

(1—1)

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37,50 ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

ცხინვალში

კბილის ექიმი

სატინიქა გრიგორის ასული

შერმაზანოვი

მიიღებს 3 ივლისიდან კბილით ავადმყოფებს.

(2—1)

წასვლის გამო

იყიდება

სარძევე,

კირპიჩნის ქუჩა, გაბაევის სახლი № 3.

ქალაქ ტფილისში

ვაგზლის ქუჩაზე

ქრისტეფორე ქალანთაროვის მემკვიდრეების სახლში **№ 10**

ამა 1902 წელს ივლისის პირველიდან მე **ალექსი კარიპიდოვმა გავაღე მარილის საწყობი და დავიწყე ვაჭრობა** სხვა-და-სხვა ხარისხის **ქულკისა, სახელმწიფო პრომისლისა** რომელიც იჯარით აღებული აქვს ყარსის 1 გილდი ვაჭარს ზახარ მინაევიჩ ჯან-ფოლადოვს.

ჩემს საწყობში გაიყიდება:

1) დაფქვილი კუხნის მარილი კარგი ხარისხის, 2) გაურჩეველი ქვა-მარილი და 3) ლამით ამოღებული ქვის მარილი, რომლითაც მსურს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას.

დავშთები პატივის ცემით **ალექსი კარიპიდოვი**

Дозв. ценз. Тифлисъ, 1 Іюля, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).